

სარჩევი

ზოგადი მიმოხილვა	2
ინფორმაციის სისტემატიზაცია/ხელშეკრულებები	4
ლიცენზირება/ტარიფები	6
ჰონორარების შეგროვება/განაწილება	9
საჯაროობა/გამჭვირვალობა	19
საზოგადოებრივი ცნობიერება	20
დარღვევათა პროფილაქტიკა	22
სასამართლო წარმოება	23
საერთაშორისო თანამშრომლობა	25
შეჯამება	28

ზოგადი მიმოხილვა

2012 წელი საავტორო უფლებათა რეალიზაციის მხრივ გარდამტეხი აღმოჩნდა საქართველოს ისტორიაში. რადიკალურად შეიცვალა საზოგადოების დამოკიდებულება აღნიშნული საკითხის მიმართ, ამალდა საავტორო უფლებების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერება, გაიზარდა საავტორო უფლებების დაცვის მაჩვენებელი და შედეგად საგრძნობლად შემცირდა დარღვევის ფაქტები. საავტორო უფლებების დაცვის კუთხით, გააქტიურდნენ როგორც თავად ავტორები, ასევე მოსარგებლები, რომლებიც საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოებების ნებართვის გარეშე გამოყენებას, უახლოეს წარსულში არსებული რეალობისგან განსხვავებით, უკვე კანონდარღვევად აღიქვამენ.

2012 წლის განმავლობაში, ასოციაციამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია როგორც შეგროვებული და შესაბამისი უფლებამფლობელებისთვის განაწილებული ჰონორარების ზრდის, ასევე ქვეყანაში საავტორო უფლებების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების და დარღვევების ფაქტების შემცირების თვალსაზრისით. ორგანიზაცია გადავიდა მართვის საერთაშორისო სტანდარტებზე. 2012 წელს ასოციაცია უფრო ეფექტური პარტნიორი იყო როგორც ავტორთათვის, ასევე მოსარგებლებისთვის ვიდრე ნებისმიერ სხვა პერიოდში. ასოციაციის ეფექტური საქმიანობის შედეგად

მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც ლიცენზირებულ მოსარგებლეთა რიცხვი, ასევე, იმ წევრთა რაოდენობაც, ვინც მეტ ფინანსურ სარგებელს იღებს, ვიდრე 2012 წლამდე.

2012 წლის 20 მაისს ასოციაციის საერთო კრებამ აირჩია ავტორთა და შემსრულებელთა საბჭო 11 წევრის შემადგენლობით. საბჭო დაკომპლექტდა პარიტეტული პრინციპით, შემოქმედებითი საქმიანობის ყველა სფეროს წარმომადგენლისაგან. საბჭოს ძირითადი ფუნქციაა ხელი შეუწყოს ასოციაციის საქმიანობას, გაუწიოს მას კონულტაციები, საჭიროების შემთხვევაში მოამზადოს დასკვნები, წარუდგინოს ასოციაციის გამგეობას წინადადებები/რეკომენდაციები.

სახელმწიფო-აღმასრულებელი ორგანოები და ქვეყანაში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციები კვლავ აქტიურად არიან ჩართულნი საავტორო უფლებების დაცვის საქმეში, რაც ამ სფეროში ქვეყნის წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.


ინფორმაციის სისტემატიზაცია/ხელშეკრულებები

ასოციაციაში მიმდინარეობს როგორც წევრების, ასევე მათი ნაწარმოებების შესახებ არსებული ინფორმაციის მუდმივი ზრდა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აღნიშნული ინფორმაციის რეგულარულ სისტემატიზაციას, დაზუსტებას, განახლებას, წევრების მიერ დარეგისტრირებული ნაწარმოებების მონაცემთა ბაზაში ზუსტ აღრიცხვას.

განსხვავებით წინა პერიოდისაგან, როდესაც ასოციაციის წევრებისთვის მხოლოდ უნიკალური საიდენტიფიკაციო (IP) ნომრის მინიჭება ხდებოდა, 2012 წლიდან შესაძლებელი გახდა წევრთა მიერ დარეგისტრირებული ნაწარმოებისთვისაც შესაბამისი კოდის მინიჭება და მათი განთავსება საერთაშორისო ბაზებში. აღნიშნული, ერთი მხრივ, მნიშვნელოვნად აადვილებს როგორც წევრების, ასევე მათი ნაწარმოებების იდენტიფიცირებას საზღვარგარეთის ქვეყნების პარტნიორი ორგანიზაციებისთვის, და მეორე მხრივ ხელს უწყობს ასოციაციას, მოსარგებლებების მიერ მოწოდებული პროგრამების სწრაფი და ზუსტი იდენტიფიცირებისა და ჰონორარების განაწილების პროცესში. ეს პროცესი უკვე შესაბამისობაში მოდის არსებულ საერთაშორისო სტანდარტებთან.

2012 წლის განმავლობაში გაიზარდა ასოციაციის მიმართ ნდობა და შესაბამისად იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც საკუთარი უფლებების რეალიზაციას ასოციაციის მეშვეობით ახორციელებს.


წევრთა რაოდენობა




ლიცენზირება/ტარიფები

საავტორო უფლებათა ასოციაციის წარმატებული საქმიანობის ძირითადი კრიტერიუმი გაცემული ნებართვების (ლიცენზიების) რაოდენობის ზრდა და საავტორო უფლებებით სარგებლობის ბაზრის მაქსიმალური ათვისებაა. ორგანიზაციამ გააძლიერა ამ მიმართულებით საქმიანობა და სარგებლობის თითქმის ყველა სეგმენტის ათვისება დაიწყო. მთლიანად დასრულდა განაკვეთების (ტარიფების) დადგენის პროცესი სარგებლობის ყველა სფეროსთვის. ხანგძლივი მოლაპარაკებების შედეგად, პირველად ასოციაციის ისტორიაში, ათვისებულ იქნა ისეთი მსხვილი სეგმენტები, როგორცაა სატელევიზიო და საკაბელო მაუწყებლობა, ასევე ინტერნეტ რეალიზაცია. თბილისის მასშტაბით თითქმის მთლიანად იქნა ათვისებული რადიოსამაუწყებლო კომპანიები, ბუკდური გამომცემლობები, ხმის ჩამწერი კომპანიები, ჰორეკას (კვების დაწესებულებები, სასტუმროები) სექტორი. მთლიანად დაიფარა მასობრივ-სანახაობითი ღონისძიებების ორგანიზება და თეატრები, მათ შორის რეგიონულ დონეზე. ნებართვები გაცემულ იქნა სარგებლობის სხვა სეგმენტებზეც და შედეგად თითქმის ყველა სეგმენტში საავტორო უფლებების გამოყენება კანონიერად ხორციელდება. 2012 წლის განმავლობაში ასოციაციის მიერ გაცემულ იქნა 461 ლიცენზია, რაც დაახლოებით 12-ჯერ აღემატება წინა წლების საშუალო მაჩვენებელს.

ლიცენზიების რაოდენობა



ლიცენზიების რაოდენობა თვეების მიხედვით



ჰონორარების შეგროვება/განაწილება

ასოციაციამ უმნიშვნელოვანეს წარმატებას მიაღწია ჰონორარების შეგროვების ზრდის კუთხით. 2012 წლის განმავლობაში შეგროვებული ჰონორარების რაოდენობა დაახლოებით 5-ჯერ აღემატება ისტორიულად არსებულ საშუალო წლიურ მაჩვენებელს და ორჯერ მეტია 2011 წლის მაჩვენებელზე, თუმცა ჰონორარების შეგროვების პროცესის თანაბარმნიშვნელოვანია მისი სწორი და სამართლიანი განაწილება, რაც 2012 წლამდე ორგანიზაციის საქმიანობის ყველაზე სუსტ რგოლს წარმოადგენდა. ამ მიმართულებით ასოციაციამ მნიშვნელოვანი რეფორმა განახორციელა, კერძოდ:

საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ფინანსური მხარდაჭერით, შექმნილ იქნა სპეციალური კომპიუტერული პროგრამა (CoSiS) აღნიშნული პროგრამის მეშვეობით ხორციელდება როგორც საერთაშორისო ავტორებისა და ნაწარმოებების ბაზების კონტროლი, ასევე, დაიწყო ამ ბაზებში ქართველი ავტორების და მათი ნაწარმოებების ინტეგრირების პროცესიც, რაც უზრუნველყოფს ჰონორარების განაწილების სისტემის თანამედროვე სტანდარტებზე გადასვლას.

მოსარგებლებისგან სრულყოფილი პროგრამების მოწოდების უზრუნველყოფის მიზნით გაიმართა სეგმენტური შეხვედრები. შემუშავდა და შეთანხმდა პროგრამების ფორმები და მოწოდების გზები, რაც


მნიშვნელოვნად აადვილებს ჰონორარების განაწილების პროცესს. მიმდინარეობს მუშაობა ერთიანი აღრიცხვის სისტემის დანერგვაზე.

უცხოელი ექსპერტების უშუალო მონაწილეობით შეიქმნა ერთიანი სახელმძღვანელო დოკუმენტი, "დისტრიბუციის წესები", რომლითაც დეტალურად განისაზღვრა ნაწარმოებების რეგისტრაციის წესები, პროგრამების მოწოდების და მათ საფუძველზე შესაბამისი უფლებამფლობელების განსაზღვრის პროცედურა, ჰონორარების უფლებამფლობელებს შორის გადანაწილების პრინციპები, გასანაწილებელი თანხის გამოანგარიშების და გადახდის მეთოდოლოგია და სხვა. განისაზღვრა ჰონორარების გადახდის მყარი პერიოდულობა - 3 თვეში ერთხელ.


2012 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ასოციაციის შესაბამისი თანამშრომლების რეგულარული გადამზადება როგორც საქართველოში, საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით მოწვეული უცხოელი ექსპერტების მიერ, ასევე საზღვარგარეთ.

გატარებულმა ღონისძიებებმა უზრუნველყო განაწილების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება და ჰონორარების სამართლიანი განაწილების მექანიზმების დანერგვა, რაც ასოციაციის ეფექტურობის პირდაპირგანმსაზღვრელი კრიტერიუმია.

შეგროვებული ჰონორარების რაოდენობა




შეგროვებული ჰონორარების რაოდენობა




ქვეყნის შიგნით შეგროვებული ჰონორარების რაოდენობა თვეების მიხედვით




ქვეყნის გარეთ შეგროვებული ჰონორარების რაოდენობა საზოგადოებების მიხედვით




განაწილებული ჰონორარების რაოდენობა




განაწილებული ჰონორარები წევრთა რაოდენობის მიხედვით



განაწილებული ჰონორარების რაოდენობა



ქვეყნის გარეთ განაწილებული ჰონორარების რაოდენობა საზოგადოებების მიხედვით



საჯაროობა/გამჭვირვალობა

ასოციაციისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტი საქმიანობის მაქსიმალური გამჭვირვალობაა. ასოციაციის შესახებ ინფორმაცია დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომია სხვადასხვა საშუალებებით.

ფუნქციონირებს ასოციაციის ვებ-გვერდი, რომელზეც ყველა ინფორმაცია დეტალურად არის განთავსებული.

აქტიურად მუშაობს ჰონორარების შეგროვება/განაწილების პროცესის ონლაინ კონტროლის მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც წევრები თავად აკონტროლებენ საკუთარ ფინანსურ მდგომარეობას.

ასოციაციაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა შუქდება მედია საშუალებებით. ინფორმაცია ვრცელდება ასოციაციის Facebook-ის გვერდითაც.

ასოციაცია ყოველწლიურად აქვეყნებს საქმიანობის დეტალურ ანგარიშს და კანონის შესაბამისად წარუდგენს მას ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს - "საქპატენტს".

გატარებული ღონისძიებებისა და საქმიანობის ანგარიში ასევე წარედგინება საერთაშორისო ქოლგა ორგანიზაციებს (CISAC, IFRRO, BIEM) რაც საჯაროდ ქვეყნდება მათ ოფიციალურ ვებ-გვერდებზე.

საზოგადოებრივი ცნობიერება

2012 წლის განმავლობაში ასოციაცია აქტიურად ზრუნავდა საავტორო უფლებების სფეროში საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაზე. საავტორო უფლებების შესახებ საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება სისტემატურად ხორციელდებოდა. გაიმართა საჯარო შეხვედრები პოტენციურ მოსარგებლეთა სეგმენტებთან და ავტორებთან. ავტორთა მონაწილეობით, დარგში არსებული პრობლემატიკის განხილვა-გადაწყვეტის მიზნით, მოეწყო თემატური დისკუსიები. საზოგადოების უკეთ ინფორმირების მიზნით ასოციაციის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ საქართველოს რეგიონებში, სადაც გამართეს პრეზენტაციები. მოეწყო სხვადასხვა ტიპის აქციები და კონცერტები, მათ შორის რეგიონულ დონეზე. მიმდინარეობს ჟურნალ Copyright-ის გამოცემა, რომლითაც ხდება, საავტორო უფლებების სფეროში როგორც საერთაშორისო გამოცდილების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, ასევე საქართველოში არსებული პრობლემატიკისა და მიმდინარე კულტურული პროცესების გაშუქება. ასოციაციის საქმიანობა ფართოდ შუქდება მედია საშუალებებით, საავტორო უფლებებს დაეთმო არაერთი პოპულარული სატელევიზიო თუ რადიო გადაცემა.

აშშ-ის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის დაფინანსებით, ქართველი მოსამართლეებისა და იურისტებისთვის გაიმართა ტრენინგი.

ტრენინგი ჩაატარა მოსამართლემ ამერიკის შეერთებული შტატებიდან, რომელმაც ქართველ კოლეგებს აშშ-ის გამოცდილება გაუზიარა.

ავტორთა და კომპოზიტორთა საზოგადოებების საერთაშორისო კონფედერაციის (CISAC), რეპროდუცირების უფლების ორგანიზაციათა საერთაშორისო ფედერაციისა (IFRRO) და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) ეგიდით, თბილისში, საავტორო და მომიჯნავე უფლებების თემაზე გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია, რომელსაც ქართველ ავტორებთან და მოსარგებლებთან ერთად მეზობელი ქვეყნების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

პირველად ქართულ სინამდვილეში, ასოციაციამ, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტთან ერთად, ჩიკაგოსა და კალაბრიას უნივერსიტეტებთან პარტნიორობის საფუძველზე შექმნა სასწავლო პროგრამა "საერთაშორისო საავტორო სამართალი" პროგრამა განახორციელეს როგორც ქართველმა, ასევე მსოფლიოში აღიარებულმა, წამყვან ათეულში შემავალმა, ამერიკელმა და იტალიელმა ექსპერტებმა. პროგრამის რამდენიმე კურსდამთავრებული ასოციაციაში გადის სტაჟირებას.

დარღვევათა პროფილაქტიკა

დარღვევათა გამოვლენისა და მათი აღმოფხვრის მიზნით ასოციაცია კვლავ მჭიდროდ თანამშრომლობს სახელმწიფოს შესაბამის ორგანოებთან. ასოციაციაში გაძლიერდა და საბოლოოდ ჩამოყალიბდა მონიტორინგის მექანიზმები. ასოციაციის მონიტორინგის ჯგუფის მეშვეობით ხდება დარღვევათა სისტემატური გადამოწმება და შესაბამისი ზომების მიღება.

2012 წელს ასოციაციამ დანერგა და აამოქმედა სადავო საკითხების განხილველი მიზნობრივი კომისიების მექანიზმი. ავტორებს/ უფლებამფლობელებსა და მოსარგებლებს შორის არსებული ნებისმიერი სადავო საკითხი განხილვა სპეციალურად შექმნილი კომისიების საშუალებით. კომისიების დაკომპლექტება ხდება შესაბამისი დარგის კომპეტენტური წარმომადგენლებით. კომისიის დასკვნას აქვს სარეკომენდაციო ხასიათი. 2012 წელს შედგა ოთხი ამგვარი კომისია, რომელმაც იმსჯელა საავტორო უფლებების სხვადასხვა კატეგორიის სადავო საკითხებზე. კომისიის მიერ მიღებული არცერთი გადაწყვეტილება სასამართლოში არ გასაჩივრებულა.


ქვეყანაში კვლავ პრობლემად რჩება როგორც ინტერნეტ-მეკობრეობა, ასევე ფიზიკური დისტრიბუციის (CD/DVD) არალეგალური ბაზრის მაღალი

მაჩვენებელი. თუმცა, ამ უკანასკნელთან დაკავშირებითაც გატარდა ქმედითი ღონისძიებები. კერძოდ, სახელმწიფო - ადმინისტრაციული ორგანოები (ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურები, სასამართლო ხელისუფლება, შინაგან საქმეთა სამინისტრო), მეტად არიან ჩაბმულნი საავტორო უფლებების დაცვის საქმეში. გააქტიურდა აღსრულების მექანიზმები, შესაბამისად, გაიზარდა აღნიშნულთან დაკავშირებული სასამართლო საქმეების რაოდენობა.

სასამართლო წარმოება

2012 წელს, სალიცენზიო შეთანხმებების გაფორმებისა და ჰონორარის გადახდის მოთხოვნით ასოციაცია აწარმოებდა 45 სასამართლო პროცესს, საიდანაც 31 საქმე დასრულდა მორიგებით, 7 საქმე დასრულდა ასოციაციის სასარგებლოდ, ხოლო 7 საქმე მიმდინარეობს.

სასამართლო დაგები



საერთაშორისო თანამშრომლობა

2012 წელს, ასოციაციამ გააგრძელა მჭიდრო თანამშრომლობა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან და საზღვარგარეთის ქვეყნების პარტნიორ ორგანიზაციებთან, რომელთა მხარდაჭერითაც მრავალი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელდა.

საქართველოში აშშ-ის სალჩოს, ევროკავშირის დელეგაციის, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), აშშ-ის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) და სხვა დონორების, ასევე კომპოზიტორთა საზოგადოებების საერთაშორისო კონფედერაციის (CISAC) და რეპროდუცირების უფლების ორგანიზაციათა საერთაშორისო ფედერაციის (IFRRO) ფინანსური დახმარებით ასოციაციის თანამშრომლები სამუშაო ვიზიტებით იმყოფებოდნენ საზღვარგარეთის ქვეყნებში, სადაც გაეცნენ არსებულ პრაქტიკას და გაზიარეს გამოცდილება. ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია და სემინარები, მოეწყო დისკუსიები, ფინანსდება ჟურნალ Copyright-ის გამოცემა და სხვა ღონისძიებები.


ასოციაციამ საერთაშორისო დონეზე უფლებათა სფეროების გაფართოების მიზნით ახალი პრიორიტეტები დაისახა, რამაც დღის წესრიგში ახალ პარტნიორ საზოგადოებებთან ურთიერთწარმომადგენლობითი

ხელშეკრულების საფუძვლეზე თანამშრომლობის აუცილებლობა დააყენა. ასოციაციამ აქტიური მოლაპარაკებები დაიწყო რეპროდუცირების უფლების მართვისა და შემსრულებელთა უფლებების დაცვის საზოგადოებებთან, ასევე აუდიოვიზუალური უფლებების მფლობელ ორგანიზაციებთან.

2012 წელს ასოციაციამ გააფორმა 10 ახალი ხელშეკრულება სხვადასხვა პარტნიორ ორგანიზაციასთან. ასევე უფლებების გაფართოების მიზნით მოხდა არსებული ხელშეკრულებების განახლება და დამატებითი პირობების განსაზღვრა, რაც მომავალში გააქტიურებს საქართველოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლობას და შესაბამისად გაზრდის საზღვარგარეთიდან ქართველი ავტორებისთვის განკუთვნილი ჰონორარების რაოდენობას.

2012 წლის ბოლოსთვის, ასოციაცია ითვლის 115 საერთაშორისო ხელშეკრულებას მსოფლიოს 150-ზე მეტ ქვეყანასთან და ტერიტორიასთან, რომელთა საფუძველზეც ახდენს პარტნიორი ქვეყნების სამ მილიონზე მეტი წევრისა და მათი რეპერტუარის რეალიზაციას საქართველოს ტერიტორიაზე.

საერთაშორისო ხელშეკრულებების
უფლებრივი განაწილება



შეჯამება

2012 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც საავტორო უფლებათა ასოციაციის საქმიანობის ეფექტიანობა, ასევე დაძლეულ იქნა არსებული პრობლემატიკის ძირითადი ნაწილი, რაც პოზიტიურად აისახა ქვეყანაში საავტორო უფლებების დაცვისა და განხორციელების მაჩვენებელზე. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ბევრია პრობლემური საკითხი, როგორც ჰონორარების შეგროვება/განაწილების, ასევე დარღვევათა აღმოფხვრის და შემდგომი პრევენციის კუთხით. პრობლემატიკის დაძლევისთვის, პირველ რიგში, უმნიშვნელოვანესია თავად ავტორთა აქტიურობა და მათი მხრიდან თითოეული დარღვევის ფაქტის დაფიქსირება, ასევე სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების და საერთაშორისო ორგანიზაციების ქმედითი საქმიანობა. გამომდინარე აქედან, გვაქვს საზოგადოების თითოეული წევრის მხარდაჭერის და თანადგომის იმედი, რაც უზრუნველყოფს საქართველოში საავტორო უფლებათა განხორციელების ქმედითი მოდელის ჩამოყალიბებას, უფლებათა ეფექტურ დაცვას და ინტელექტუალური საკუთრების ლეგალური მოხმარების კულტურის დამკვიდრებას.